საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2152-01-2-202006241118

N 01/2152
24/06/2020

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსს
ბატონ ზაალ ივანიძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 4 ივნისის №16/28430 წერილი (შემოსული დოკუმენტი: 3426/01; თარიღი: 4.06.2020), რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე მდებარე 55 კვ.მ. და 103 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №61.11.23.107 და №61.11.23.108) ერთ ლოტად პრივატიზების საკითხს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №61.11.23.107 და №61.11.23.108) სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №61.11.23.109) გაერთიანების შემთხვევაში.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აპრილის №14 დადგენილების „დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთები ხვდება საცხოვრებელ ზონა 4 (სზ-4)-ში, რომელთა სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს დადგენილი პირობების შესაბამისად (იხ. დანართი).

ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს მცირედით კვეთს ლოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი ტერიტორიები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტირებისას ან მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის კორექტირება უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იყოს აღნიშნული ზონა.

დანართი: 3 გვერდი

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი